წელიწადი პირველი — № 6. ნოემბერი 3 ქაქეიკი ოთხშაბათი, 17 მაისი 1906 წ.

ზმა

ეროვნული გაზეთი

რედაქცია ღია (უქმეებს გარდა) დიდის 10 ს. 2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.

მისამართი: თბილისი-ზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

გაზეთი დირს: 1 წლით . . 5 მ. — კ.
„ „ 6 თვით . . 2 მ. 50 კ.
„ „ 3 „ . . 1 მ. 50 კ.
„ „ 1 თვით . . — 50 კ.
ცალკე № „ . . . . — 3 კ.
წლის დამლეგამდის . . . 3 მ. — კ.

კ. ... სახ. ხსნ. სახელმ. ... სპუბლიკ. ...

შინაარსი:

1. ვინ არის ჩვენი მტერი. 2) ფმლეტონი. 3) უცხოეთი. 4) რუსეთი. 5) ახალი ამბები. 6) დეპეშები.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და ისინი, ვინც ჩასდგომიან სათავეში ადამიანების გონების განვითარებას, იმიტომ, რომ დაუკარგონ ადამიანის ტვინს ყველა თვისება განვითარების; ვინც ასწავლის კაცობრიობის ახალთაობას ყველაფერს გარდა ადამიანური ცხოვრებისა, გარდა მოქალაქეობრივი ცხოვრებისა, გარდა ამხანაგური ცხოვრებისა. ისინი, ვინც ამახინჯებენ ბავშვების ტვინს და აზროვნებას დაბალ და საშუალო სასწავლებლებში—ჭაბოლთა, მოზრდილთა გონებას მაღალ სასწავლებლებში.....

ისინი, ვინც უბზობენ ჰუმუტანას იმ დიდ იარაღს ადამიანისას, რომელიც ადამიანის გვირგვინია.... და რომელიც აღზრდილის დამამახინჯებელ ამღზრდელებს გაუხდიათ საბაგვე ყუთად, რომელშიდაც ჭყრიან, მეცნიერების და მოქალაქეობრიობის შეგნების მაგიერად, სარწმუნოებრივი ნაგავს, პოლიტიკური სიმყრალეს, ზნეობრივ გარყვნილების მატლებს ტ ჯაშუშობას, საზოგადოებრივ მოღვაწეობის მაგიერ.

ისინი, ვინც უსპობენ ახალგაზდობას ნიჭს აზროვნების თვით მოქმედებისას, ისინი, ვინც აკლებენ თაოსნობისთვის გაჩენილთ ნიჭს თავოსნობისას;

ისინი, ვინც ყრმებს უნერგავენ სიძულვილს თავისუფლებისას, ჩვეულებას მორჩილებისას, ვინც არიან მოტრფიალენი ყაზარმული კეთილ მოქმედებისა, ვინც სიმართლის, ჭეშმარიტების, უზვობის ნაცვლად ასწავლის ურცხვ სიცრუეს, ცილის წამებას, სიძუნწეს, ჩაგვრას და ფიქრის ადგილას ლაყბობას.

აი ვინ არიან ჩვენი მტრები!

ჩვენი მტრებია:

ისინი, ვინც ახალგაზდობას უუბნება, რომ ადრეა აზროვნებაო, ხანში შესულთ კი—გვიან არის ფიქრები, აზროვნებაო;

ისინი, ვინც წურთნიან ახალთაობის გონებას მკვლელობისათვის, ამზადებენ ჭაბუკთ მხედრობისათვის, მკვლელობის უნივერსიტეტის სტუდენტებათ.

ისინი ვინც ამზადებენ არ არსებული არსებობის—ღვთის მსახურებისათვის.

ისინი, ვინც ადამიანთა მაგიერ ამზადებენ სახელმწიფო, ოფიციალურ სკოლებში, გონებრივ წარმოების ფაბრიკაში რაღაც ადამიანურ ნაწარმოებს, რომელიც „კაცის“ გარდა ყველაფერს ჰგავს, რომელიც უფრო თავის მწარმოებელს ჰგავს, რომელიც ყველაზე უფრო უზარმაზარი მანქანის ერთ ერთ ჭატარა „ვინტს“ ჰგავს, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და ისინი, ვინც სკოლაში მოზრდილ ადამიანების მაგიერ მანქანების საწარმოებლად, ფილოსოფიაში ძველი დროის სხოლასტიკისებურ და ახალი დროის მარქსიზმის მსგავს ეიწრო ფასინულ და გაკრისტალებულ აზროვნების საწარმოებლად სწერენ ზოგი სახარებას და ზოგიც ამ სახარების დამატებებს სახელმძღვანელოდ გონიერთა, რომლებსაც სურთ გახდნენ გონებით ღატაკნი...

ვინ არიან ჩვენი მტრები?

ვინ და ბატონები მეცნიერებაში, ბატონები სკოლაში.

ვინ არიან ჩვენი მტრები?

ვინ და ისინი, ვინც სიყვარულის გრძნობით შეპყრობილნი ეთაყვანებიან ქალს, მაგრამ, პოლიტიკური მახინჯობის სენით შეპყრობილნი იმონებენ ქალს; ისინი, ვინც ზნეობაზე ჰყვირიან, ვინც ზნეობას დარაჯად უდგიან და თვით უზნეობაში სცხოვრობენ, იმ უდიდეს და უმძლავრეს თანამედროვე უზნეობაში, რომელსაც ოჯახი ჰქვია...

ისინი, ვინც ლაპარაკს, სიტყვას ზნეობით იწყებენ და ათავებენ იმ უზნეობის ქებით, რომელსაც თანამედროვე ოჯახი ჰქვია ე. ი. ისეთი ურთიერთობა, სადაც ორი ერთი მეორის უკეთმართი ადამიანი შეერთებულია ან ეკლესიის ან სახელმწიფოს, ან კანონის სახელით, სადაც ხელოვნური ცემენტით შეერთებული არიან შეუერთებელნი...

ჩვენი მტერია ის კავშირი, სადაც ორი ადამიანი შეერთებულან არა ბუნებრივი კავშირით, არა გრძნობათა ნაკლები, ხარჯვით უშეტეს სიტკბოებათა მოსაპოვებლად, არამედ იძულებითი, ეკონომიური, საანგარო მოსაზრებით...

ფელეტონი

ჰერნის იბსენი.

ჰერნის იბსენის სიკვდილით კაცობრიობამ დაკარგა მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი გიგანტი მწერალი. იბსენის დაკვირვებითი ნიჭმა და ცხოვრებაში მწარე გამოცდილებამ მის პიესებს ღრმა შინაარსიანი სიუჟეტები მისცა, მისმა პირველ-ხარისხოვანმა პოეტურმა ნიჭმა კი იმგვარი წარმწათი ენით და მრავალ-ფეროვან სურათებ-მოხაზულებით აღწერა ეს სიუჟეტები, რომ მისი პიესების კითხვის დროს ყოველი აზრი, ყოველი წინადადება ღრმად წვდება ჩვენი სულის მიმალულ კუნჭულებს და ჩვენი გულის სიმებს ელექტრონსავით ღრმათ შეათამაშებს ხოლმე ცხოვრებისათვის, წმინდა, კეთილ-შობიერ გრძნობებისათვის საბრძოლველათ. ექიმი შტოკმანნის გაბედული მოქმედება და ღრმა რწმენით წარმოსთქმული სიტყვები თვით სულით მოხუცს შეურყევენ მეუდრობას და ბრძოლისაკენ მიუთითებენ, ნორას ამაყი და შეურყეველი სურვილი ბევრ იმედმიხდილ ქალბატონს მისცემს ენერგიას თავის უფლებების მოსაპოვებლათ და დასაცველათ, მისი პსიხოლოგიური მოსაზრებანი და მსჯელობა აღგვიძვრენ ხოლმე სურვილს ქვეყის სავარჯიშებლათ იმ საქირბოროტო, მუდმივ კითხვების გადასაწყვეტათ, რომელნიც ამდენი ხანია აშფოთებენ კაცობრიობას და რომელნიც დღეს კიდევ სფინკის სახით გვეჩვენებიან, მისი თავგამოლებული გამოსარჩლება პატარა, მრავალ-ტანჯულ ერების ბუნებრივ უფლებებისათვის დიდხანს ექნებათ სახსოვრათ, ნიშნათ მადლობისა და პატივისცემისა დაჩაგრულ ერებს.

მოკლეთ რომ ვსთქვათ, იბსენის მოღვაწეობა როგორც მწერლისა ტ მოქალაქისა ისე მრავალ-მხრივი და შინაარსიანია, რომ ამ მოღვაწეობის მნიშვნელობის გაზვიადება თითქმის შეუძლებელია. მის ბოლო დროს ნაწერებიდან სჩანს, რომ ის თავის დიდი ხნის სიცოცხლის განმავლობაში არ შეჩერებულა აზროვნების მსვლელობის გზაზე. იბსენი, როგორც ძრიელ გრძნობიერი პიროვნება გვერდს ვერ აუქცევდა ყოველდღიურ ცხოვრების ვარამს და საზოგადოთ თანამედროვე მოვლენებს. და ეს ვარამი და მოვლენები კიდევაც აღწერა მან თავის დრამებში, კომედიებში და ლექსებში, მასთან მას, როგორც ბუნებისაგან დიდი ნიჭით დაჯილდოვებულ პირს, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მარტო თანამედროვე კითხვების სფერით და არ გადაეტანოს თავის ქკვა-გონების ძრიელი ვარჯიშობა შორეულ ფილოსოფიურ პროლემებზე. ვინც კარგათ ჩაკვირვებია რწმენათა, იდეების განვითარების ისტორიას და საერთოდ ცივილიზაციის ცარმოშობას და მსვლელობას, ის უეჭველია შეამჩნევდა, რომ კაცობრიობას ყოველთვის ორ გვარი საკითხი ჰქონდა და აქვს ეხლაც გარდასაწყვეტი, ორი მიზნისაკენ მიილტვის ხან შეგნებულათ, ხან კი შეუგნებლათ:

პირველი კითხვა, შეადგენს ამ ათეულ იმ თაობისათვის თანამედროვე, გარდამავალ მიზანს, კითხვას, მეორე კი უფრო დაშორებულ, ხანდიხან ძრიელაც დაშორებულ და მუდმივ კითხვებს ე. ი. ფილოსოფიურს პრობლემებს, ფილოსოფიურს საუბრებს. აი ამ ორივე საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი, მხოლოდ გაკილებით უფრო ძნელია მათი ერთმანეთის ჰარმონიულად შეთანხმება, მათი ერთმანეთის შესაბამება, შეგუება და მოქმედება თანახმად ამ შეთანხმებისა. ამ უკანასკნელ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ხასიათის მთლიანობაზე (цѣльность), მის მოღვაწეობაზე. ეს ჰარმონიული შეთანხმება საუკეთესო თავდებია თავის დასაცველათ, როგორც უკიდურეს პესსიმიზმისაგან ისე უკიდურეს, გადამეტებულ ოპტიმიზმისაგან. სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში ძვირათ გხვდება მეორე მისთანა პირი, რომელსაც ეს საკითხი ისე კარგათ ჰქონოდეს შეგნებული და გადაწყვეტილი, როგორც იბსენს. ეს კარგმოება ეოველდოვის ენდა გვახსოდეს, როცა იბსენზე ვლაპარაკობთ. იბსენის კომედია „ექიმი შტოკმანნი“ ან ხალხის “მტერი“ უნდა ჩაითვალოს მსოფლიო სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში საუცხოო მარგალიტათ, რომლის მგზავსი ამ უკანასკნელ წლებში არ დაწერილა,—საუკეთესო არა მარტო ღრმა შინაარსით, არამეთ ხელოვნური მხრითაც. შტოკმანნი, როგორც ვიცით, კეთილ-სინდისიერი ექიმი, მშრომელი, ოჯახის ძრიელ მოყვარული ადამიანია. მან აღმოაჩინა,

ის კავშირი, რომელიც ითვლება ზნეობის წმინდათა წმინდა და ნამდვილად კი ზნეობრივი უწმინდურეგაა, ის კავშირი, რომელიც სხვა კავშირს, დამყარებულს ანგარიშზე, სხეულით ვაჭრობაზე როსკიპობას უძახის და თვით კი წარმოადგენს საუკუნოებით გამოცდილ, მთავრობით დაკანონებულს და სარწმუნოებით ნაკურთხ ვაჭრულ მორიგებას, რომლითაც გაყიდულია როგორც თავისუფლება, ისე უფლება, როგორც სხეული ისე სული, არადროებით, არამედ სამუდამოდ; ის კავშირი, რომელიც თავისი ამგვარ ბუნებითობით, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივობით უფრო დაბლა სდგას იმ კავშირზე, რომელსაც ოფიციალურად როსკიპობა ჰქვია...

ის კავშირი, სადაც ოფიციალური როსკიპი სამუდამოდ დამორჩილებულია თავის უზნეო ხვედრს მთავრობის მიერ ტ ნაკურთხია ღვთის და მისი მინისტრების მიერ, რომელსაც გამთავისუფლებელ ბრძოლისთვის სპირია არა მარტო შეგნება, რომელიც საკმარისია ოფიციალური როსკიპისთვის, არამედ აჯანყეთაც იმ კავშირის წინააღმდეგ, სადაც დაკავშირებულია ოჯახის ბატონი თავის მონასთან, ე. ი. სადაც კავშირი არ არსებობს.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და ბატონი ოჯახში.

ვინ არის ჩვენი მოსისხლე უმძლავრესი მტერი?

ვინ და ისინი, ვისაც თავისი კერძო მესაკუთრის შენდნერება სხვის უბედურებაზე დაუმყარებია, ვისაც თავისი სიმდიდრე სხვისი სილატაკით შეუქმნია, ვისაც თავისი განცხრომით მოსვენება სხვისი ოფლით და შრომით მოუპოვებია, ვისაც არასოდეს არაფერი უწარმოებია ყველა ნაწარმოები მიუთვისებია...

ისინი, ვისაც სხვისი ზანგისებური შრომით და თვისი გაიძვერობით, უმცირესი შრომით სხვისი ნაწარმოების უმეტესი ნაყოფი მიუღია...

ვისაც თავის პრაკტიკულ დევიზად გაუხდია მცნება, რომლითაც კარგია, როდესაც სხვას პარავს და ავია, როდესაც მას ჰპარავენ.

ისინი, ვინც მშრომელი, მუშა ხალხს ჰქურდავს, სცარცავს უთვალავ საუკუნოების განმავლობაში, ვისიც მთელი სიმდიდრე ნაცარცვი და ნაქურდალია და ვინც მიუხედავად ამისა, თუ მასთან ექსპროპრიაცია, ნაქურდალ-ნაცარცვის უკან მდგომის მწარმოებლის ხელში დაბრუნება ახსენე, ამყრალდება ლანძღვა-გინებით და მორთავს ღრიალს: ყარაულ!!... ვინ არის მისი მცველი ყარაულები?

ვინ და ჯარი, არტილერია, კავალერია, პოლიცია, ჟანდარმერია და ჯაშუშთა სამარცხვინო რაზმი...

— სწორედ ისინი, ვისი დაბმაგებით ჩაიდინა და ჩადის ის იმ ქურდობას, რომელსაც ეერძო საკუთრება ჰქვია, რომელსაც ეკონომიური ექსპლოატაცია ჰქვია, რომელიც შესაძლებელია ფიზიკურ ან გონებრივ იძულებით და არა ნებიერად.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ის უბარმბარი, საზღვაური წურბელა ექსპლოატაციის და წარმოებისა, რომლის თავისუფლება ეანდარმია, სათნოება ჩაგვრა სული ფული, გონება მღვდელი, სარწმუნოება ქურდობა და ცარცვა, ზნეობა მკვლელობა—ომი შინ და გარედ, პატრიოტ-ობა ტყუილი და ორპირობა, კერი ღა საზოგადოებრივობა, ყიდვა აყიდვა, სამართალი საღრჩობელა პატიოსან მწარმოებელ და მებრძოლთათვის, და ბედნიერება მისი უხამსი სიბინძურით სავსე თავი და გულისთვის, იმ გულისთვის, რომელიც უნდა შემუსროს, გააპოს ჩვენმა მკლავმა, რომელიც უნდა მოხრაკოს სოციალური რევოლიუციის შეუბრალებელმა ცეცხლმა, რომლისაგან ტანჯული და დევნილი ექსპლოატაციის გასწმენდს ის სოციალური გულ-კანი, რომელზედაც თავზედან შესკუპებული ვენეციის ვაჭარი.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და კერძო მესაკუთრე,

ეკონომიური ბატონი.

უკანასკნელად და საბოლოოდ ვინ არიან ჩვენი მტრები?

ჩვენი მტრებია:

ბატონი საზოგადოების—სახელმწიფო.

ბატონი ოჯახში,

ბატონი სკოლაში,

ბატონი მეცნიერებაში;

ბატონი ზნეობაში,

ბატონი წარმოებაში,

ბატონი კავშირის—მთავრობა,

ბატონი ცაზე,

ბატონი დედა-მიწაზე,

ბატონი ყოველგან,

ბატონი ყოველთვის,

რომლებიდგანაც ჩაგრული და წამებული საზოგადოებრივ ცხოვრების ატმოსფერას გასწმენდს

სოციალური რევოლიუციის გამწმენდელი,

განმათავისუფლებელი ცეცხლი და ალი.

უცხოეთი

ანტიმილიტარიზმი შვეიცარიაში.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია დღევანდელ მდგომარეობის გამო მილიტარიზმისაკენ უმთავრეს ამოძრავებელს მათი ამგვარ მისწრაფებისას წარმოადგენს არა სახალხთა შორისო განსაცდელი, არა გარეშე მტერი. ამ უკანასკნელ დროს ყურადღებას უფრო შინაური მტრებს აქცევენ. მუშათა კლასსარ ჰსურს შეურიგდეს თავის მონურ მდგომარეობას. იმას კარგათ ესმის, ვინ არის მისი მტერი, და რაში არის მისი ხსნა. ბურჟუაზიას ხელში არ დარჩენილა, გარდა სამხედრო ძალისა, არავითარი ხერხი ბრძოლისა გამლიერებულ სოციალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისი, თუ როგორ რადიკალურ სამინისტრომ საფრანგეთში მოაფინა ჯარით ყველა ის რაიონები, სადაც მუშები გაიფიცნენ. ადვილი მისახვედრია, რომ ბურჟუაზია ძალიან აფასებს ამ „უკანასკნელ“ „კოზირს“ და ყველა საშიშალებებით სცდილობს დაიცვას ჯარის კაცი ყოველგვარ გარეშე გავლენისაგან. აი რატომ მთელი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ძალიან აღშფოთებულია იმ გაძლიერებულ ანტიმილიტარისტულ მოძრაობით, რომელიც აღძრული და მხარდაჭერილი ბრძოლას შეუძლია საქმის გაკეთება, ძველი რეჟიმის დამხობა. ამნაირად თვით ცხოვრებამ უჩვენა სწორი გზა და უთხრა: თუ გინდა, წარმატებისაკენ გაქანება, საჭიროა ბრძოლა მედგარი, ბრძოლა დღეს, ბრძოლა ხვალ, ბრძოლა ზეგ და ასე გამუდმებით, მანამდე არ მიაღწევ შენ იდეალს. ამას გარდა შტოკმანნი მივიდა მეორე აუცილებელ დასკვნამდე: — ყველაზე უფრო საშიში მტერი ჰეშმარიტებისა, თავისუფლებისა, ამბობს ექიმი შტოკმანნი, არის უმრავლესობა. უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი; — დიახ, არასოდეს! ეს საყოველთაოთ მიღებული სიტრუეა, რომლის წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს ყოველი თავისუფალი ადამიანი.

ვინ შეადგენს უმრავლესობას ყოველ ქვეყანაში? განათლებულნი თუ სულელნი? სულელნი შეადგენენ საშინელ, დამჩაგვრელ უმრავლესობას მთელ ქვეყნიერობაზე. ახლა, სამართალია, რომ სულელნი განაგებდენ განათლებულთ! შტოკმანნის აზრით უმცირესობა არას-დროს არ უნდა დაემორჩილოს უმრავლესობას, რადგანაც უმრავლესობა არას-დროს არ არის მართალი. უმრავლესობას

რომ აბანოები სავსე არიან სხვადასხვა ბაციცლოებთ და მოიწადინა სულით და გულით წყლის გასუფთავება. ამ მიზნის მისახწევად მან მიმართა თავის ძმას, ქალაქის თავს, სთხოვა აგრეთვე დახმარება ყველა თავის ნაცნობებს, სხვათა შორის ერთ ლიბერალურ გაზეთის რედაქტორს, რომელმაც დახმახმარება აღუთქვა. თანა მას მოუყარა ამბანაგ ზიმიკისაგან თავის აზრის დამამტკიცებელი საბუთები; სიხარულისაგან გატაცებული შეუდგა საქმის განხორციელებას, დიდს, პატარას, ყველას შეხარის, რომ ის ძალე დაიხსნის მთელ ქალაქს დამპალ, მომხაშელ წყლისაგან. უგზავნის ამის შესახებ ვრცელ წერილს რედაქტორს გაზეთში გამოსაქვეყნებლად. მხოლოდ ახლა კი, როცა ჯერი საქმეზე მიდგა, ყველა წინ აღუდგა მას, ყველა წინ გადაეღობა მის აღფრთოვანებუ—მისწრაფებას. რედაქტორმა წერილი არ დაასტამბვია, ძმა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა, ყველამ თითქმის ერთხმათ აღიარა შტოკმანნი „ხალხის მტერათ“, რადგანაც მათი აზრით შტოკმანნის მოქმედებას შეეძლო უცხოელების შეშინება, რიგამო აბანოებზე მეაგარაკეთა სიარული შემცირებოდა და ამით კი ქალაქის მცხოვრებთ დიდი ზარალი მიეცემოდათ. შტოკმანნი იწვევს კრებას, საცა მას უნდა წარადგინოს მოხსენება თავის გამოკვლევის შესახებ და უნდა მისცეს დასაბუთებული წინადადებანი, თუ როგორ ეშველება საქმეს. მას აქამდის კიდევ სწამდა, რომ სიტყვით მას შეეძლო ლიბერალების დაყოლიება. აქ კი მას ეს რწმენა სრულიათ დაეკარგა, მას და ქალაქის მცხოვრებთა შორის სრული განხეთქილება ჩამოვარდა, მათ შორის თუ იყო შემაერთებელი ხიდი, ეხლა სრულიათ დაიმსხვრა. მის მოხსენების მისმენაც კი არ მოისურვეს და წინ და წინ გამოუცხადეს მას პროტესტი. . . შტოკმანნმა ახლა მეორე რამ აღმოაჩინა, ის, რომ მოწამლულია არა მარტო აბანოები, არამედ მთელი ჰაერი, მთელი ცხოვრება, რომ საჭიროა ცხოვრების ყოველი მხრით განახლება, გასუფთავება; დარწმუნდა, რომ ამ ძველი ცხოვრების ბოლოს მოსაღებათ, არ გამოდგება ლიბერალური მოქმედება და არც აქეთ, არც იქითობა, დარწმუნდა, რომ უფრო რადიკალური მოქმედებაა საჭირო, დარწმუნდა, რომ მხოლოთ ბრძოლას შეუძლია საქმის გაკეთება, ძველი რეჟიმის დამხობა. ამნაირათ თვით ცხოვრებამ უჩვენა სწორი გზა და უთხრა: თუ გინდა, წარმატებისაკენ გაქანება, საჭიროა ბრძოლა მედგარი, ბრძოლა დღეს, ბრძოლა ხვალ, ბრძოლა ზეგ და ასე გამუდმებით, მანამდე არ მიაღწევ შენ იდეალს. ამას გარდა შტოკმანნი მივიდა მეორე აუცილებელ დასკვნამდე: — ყველაზე უფრო საშიში მტერი ჰეშმარიტებისა, თავისუფლებისა, ამბობს ექიმი შტოკმანნი, არის უმრავლესობა. უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი; — დიახ, არასოდეს! ეს საყოველთაოთ მიღებული სიტრუეა, რომლის წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს ყოველი თავისუფალი ადამიანი.

ვინ შეადგენს უმრავლესობას ყოველ ქვეყანაში? განათლებულნი თუ სულელნი? სულელნი შეადგენენ საშინელ, დამჩაგვრელ უმრავლესობას მთელ ქვეყნიერობაზე. ახლა, სამართალია, რომ სულელნი განაგებდენ განათლებულთ! შტოკმანნის აზრით უმცირესობა არას-დროს არ უნდა დაემორჩილოს უმრავლესობას, რადგანაც უმრავლესობა არას-დროს არ არის მართალი. უმრავლესობას

ჩვეულებრივ აქვს ძალა, ძალა კი სრულიათაც არ არის სიმართლის მაჩვენებელი. ლოდიკის ძაფი რომ ბუნებრივ დასკვნამდე მივიტანოთ ამ აზრის თანაზომთ უნდა ვსთქვათ, რომ ინდივიდუმი უნდა იქნას სრულიათ თავისუფალი, მას არავითარი ძალა არ უნდა ბორკავდეს, მას უნდა ჰქონდეს სარბიელათ ფართო გზა. მხოლოდ ეს თავისუფლება არ უნდა იყოს სხვის მონობაზე აგებული. სოციალური და ინდივიდუალური მხარეები ცხოვრებისა ერთი ერთმანეთს უნდა უწყობდენ ხელს და მათ ერთი ერთმანეთის დაპირდაპირება საჭირო სრულიათაც არ არის. ამავე აზრს გამოსთქვამს ძრიელ ნიჭიერი, მაგრამ სამწუხაროთ უდროოთ წუთის-სოფელ გამოსალმებული მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსი გიუიო. „უმთავრესი აზრი, რომლის ახსნა-გარმატებას გიუიო სცდილობდა, მდგომარეობას ცხოვრების იდეაში, როგორც საერთო ნაყოფიერი დასაწყისში, რომელზედაც ყარდება ყოლიფერი: მორალი, რელიგია, სოციალოგია, ხელოვნება. ცხოვრების იდეაში კი ერთდებიან ორი ხედვითი ფერტილები, ინდივიდუალური და სოციალური

ჩილი ანარქისტებისაგან და ყოველგან იღებს სასტიკ ზომებს მის წინააღმდეგ. სულ ცოტა ხანია, რაც ეს მოძრაობა გადმოვიდა შვეიცარიაში. იქაურმა მთავრობამ ალიაქოთი ასტეხა და დღეკანდელი სამინისტრომ მიუხედავად იმისა, რომ ის არის რადიკალური, შეადგინა უკვე პროეკტი განსაკუთრებულ ზომებისა. ის ემუქრება პროპაგანდისტებს და აგიტატორებს ანტიმილიტარიზმისა ისეთი სასტიკი სასჯელით, რომელიც სრულებით არ შეეფერება ჩვენ ჩვეულებრივ იდილიურ წარმოდგენასცხოვრებისას, რომელიც გაჩაღებულია სკანდინავიის ნახევარ კუნძულში „ბნდნიერ არკადიაში“, არ შეეფერება განსაკუთრებით ამ ქვეყანას, სადაც ისე აშკარად არის გამოხატული სოციალისტური ბრძოლა, როგორც შვეიცარიაში. ანტიმილიტარისტებს სთვლიან პირდაპირ სახელმწიფოს და სამშობლოს მოღალატედ; უბრალო სიტყვიერ პროპაგანდის ბრალისათვის სახალხო კრებებზე, ანუ ანტიმილიტარისტულ ბროშურების გამოცემისათვის ექვსი წლით კატორგას უწყვეტენ დამნაშავეს. ჯარის კაცებს ერმალული აქვთ დასწრება ანტიმილიტარისტულ სახალხო კრებებზე, რათა დარეკვან არმია იმ ბოროტ, ვითომ ცრუ-სწავლებისაგან. კიდევ მეტს სასჯელს აყენებენ ჯარის კაცს დისციპლინის დარღვევისათვის; კანონიერ (?) მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის ერთი წლის კატორგას მიუსაჯავენ ხოლმე; უბრალო მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის, რომელშიდაც ამხანაგების გატაცებით და არა განზრახ იღებ-

---

ნალი ცხოვრებისა, როგორც შინაგანი შეერთება ინდივიდუალური და სოციალური არსებათა, გადაქცევ გიუიოს მორალსა, ესტეტიკასა და რელიგიაში. უმთავრესი წყარო ესტეტიური ემოციისა გამოიხატება (იმყოფება) სოლიდარობის გრძნობაში; მხოლოდ ამნაირ სოლიდარობას შეუძლია არსებობდეს როგორც ერთ და იმავე განუყოფელ ორგანიზმის სხვა-და-სხვა ნაწილთა ისე სხვა-და-სხვა ერთეულთა შორის“. აი ამ აზრისა არის გიუიო ინდივიდუალიზმისა და ინდივიდუალური და სოციალური მხარეების ერთი-ერთ დამოკიდებულების შესახებ. იმას, რასაც ამ კითხვის შესახებ საზოგადოთ და კერძოთ ცნობილ თხზულებაში „la morale sans sanction et obligation“ გიუიო სწერს, იბსენი პოეტურად, ხელოვნების უმთავრეს მოთხოვნილების თანახმათ გამოსთქვამს თავის პიესებში და ამით ძნელ ფილოსოფიურ აზრებს ხდის მდაბიო ხალხისათვის გასაგებათ. მეორე პიესაში, „ნორა“-ში იბსენს გა-

---

ბრძოლა ქალი. ნორას მისი ქმარი ისე უყურებდა, როგორც რაიმე გასართობ საგანს; მისი აზრით ნორას მოვალეობაა მარტოოდენ ოჯახის ყურისგდება და ბავშვების აღზრდა. მაგრამ, როდესაც ნორა ჩაუყვირდა ყველა ამას და შეიგნო თავის მდგომარეობა, სტოვებს შვილებს, სახლს და ეუბნება ქმარს, რომ ბავშვების აღზრდა მას არ შეუძლია, თავისი საკუთარი „მე“ არ გამოურკვევია და არ გაუნვითარებია. ნორა სტოვებს ქმარს და იწყებს ახალ ცხოვრებას. მას ვეღარაფერი ვერ აკავებს სახში, ვერც პატარა ბავშვები, ვერც მოსიყვარულე ქმრის მუდა. მისი გადაწყვეტილება შეურყეველია. აი მტკიცე პროტესტი დამონავებულ ოჯახის წინააღმდეგ, აი თავის უფლებებისათვის და ინდივიდუმის განსავითარებლად ბრძოლა, აი ქალის ბრძოლა თავის ღირსების აღსამაღლებლად! იბსენს ყოველივე ძალმომრეობა სულს უხუთავდა, მის ბუნებას არ შეეძლო აუშფოთველათ აეტანა რომელიმე ერის დაჩაგვრა. როდესაც 1848 წ. უნგრეთმა, როგოც უფრო შეგნებულმა ნაწილმა ავსტრია-უნგრეთისამ, გაცილებით

ბას თითქმის ნახევარ საუკუნე; დროთა მუდამ დაუდეგარი ბრძოლა უთუოთ თავისას იზამს; დადგება დრო, როცა მის პიესებში გატარებული იდეები დაძველებულათ ეჩვენებათ ჩვენ ჩამომავლობას. მხოლოთ ისიც ცხადია, რომ საუკუნეების განმავლობაში დარჩება ხელ-მიუკარებელი ერთი თვისება მისი ნაწერებისა—ეს ბრძოლის შექება, ბრძოლის აუცილებლობა ტანჯვების კისრიდან მოსაცილებლათ, საერთოთ სიცოცხლით აღსავსე მაჯის ცემა. ბრძოლაა მაშვრალთა წამალი, რბძოლაა მათი ტკბილი იმედების აღმძვრელი. მაშ ეს თუ ასეა იბსენის სახელი დარჩება ხალხის გულში უკვდავათ, ძეგლი მისი იქნება აგებული თვით ხალხის მრავალ ნაირათ დასერილ გულზე! ეს კი უდიდესი მადლობაა იმ პირისათვის, რომელიც თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მუდამ პიროვნების თავისუფლებაზე, სქესთა უფლებათა თანასწორობაზე, ეროვნების სრულ დამოუკიდებლობაზე, ხალხის კეთილ-დღეობაზე და საზოგადოთ აუტანელი ცხოვრების გაუჯობესებაზე მის წინ წაწევაზ ჰფიქრობდა.

დონ-ჯან.

ჯარის კაცი. ეს ამბავი ასეთია: ერევნის ბანკიდან ერევნელ ბანკირ ბ-ნ ალ. ალ. ბაბაიანს ეგზავნებოდა ფული ბაკოში. ეს ფული ბ-ნ ბაბაიანს ბანკიდან ეგზავნებოდა ბ-ნ ალ. ალ. ბაბაიანის ბინაზე. ბ-ნ ბაბაიანს ბინაზე ეგზავნებოდა ფული

საქმეებს; ამიტომ ქალაქის თვითმართველობას დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ეს 100,000 მ. გადასახადი ჩარიცხულ იქნეს იმ ნედოიმკებიდან, რომელიც სასახლეზე ყოფილა დარჩენილი.

ასეთი ქალაქის ნედოიმკები სასახლეზე 300,000 მან. აღემატება...

— 14 მაისს მთავრობამ გამოსვლისთანავე მოსპო სიცოცხლე სატირიულ სურათებიანს ჟურნალს „კრაპივას“.

— 9 ამ თვეს ადგილობრივ პატრიოტებს უდღესასწაულნიათ ერთი წლის ამ საზოგადოების მოღვაწეობა. ამ დღეს სამისიონერო ეკლესიაში თბილისის სემინარიის რექტორს და დეკანოზ გოროდცევს წირვა და პარაკლისი გადუხდიათ. შემდეგ სიტყვები წარმოუთქვამს და ანგარიშიც მოუხსენებიათ.

ბოლოს ბ. შავროვს უთქვამს: როცა „კრამოლნიკები“ თავის მოკლულს ან მიცვალებულს ამხანაგს იხსენიებენ „დუბინუშკა“ მღერიანო ჩვენ როგორც მართლმორწმუნეთ საუკუნო ხსენება შეუთვალოთ „კრამოლნიკების სახელით მოკლულს ამხანაგებსაო“, კრებასაც ერთხმათ უმღერიათ „საუკუნოთ იყოს ხსენება მათი“ და დაშლილან.

— 14 მაისს 3 საათზე პოლიციმეისტერის გადარჩენის გამო სათადარიგო პოლიციელთა თხოვნით გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. ამ პარაკლისს გარდა თვით პოლიციმეისტერისა დაესწრნენ მე-10 უბნის ბოქაული მ. ბოიარინოვი, სათადარიგო პოლიციელთა უმფროსი მონასტირსკი და ერთიც პოლიციმეისტრის კანცელარიის მოხელე. პარაკლისის შემდეგ ბ. პოლიციმეისტრის სურვილისამებრ გადახდილ იქნა პანაშვიდი მოკლულის მხლებლის ყაზახის სულის მოსახსენებლათ.

შემდეგ გოროდოვოებს უწყალობეს თითო ჩარექა არაყი. სადღეგრძელოების დროს ბოქაულმა ბ. ბოიარინოვმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც დაახასიათა როტმისტრი მარტინოვის გმირობა და თავის განწირვა მთავარისათვის (14 მაისს ბომბის სროლის დროს). სხვათა შორის ორატორმა გამოსთქვა სურვილი, რომ ნიშნათ საყვარელის პოლიციმეისტრის გადარჩენისა შევაგროვოთ ფული და სათადარიგო პოლიციაში დავდგათ პეტრე-პავლეს ხატიო. ეს წინადადება მიღებულ იქმნა. გამართეს ხელის მოწერა, რამაც 40 მან. შემოსავალი მისცა.

— 14 მაისს თამამშევის ქარვასლაში ა. გ. რახმანოვის და ისმაილოვის მაღაზიის წინ შეიპყრეს 5 კაცი, რომელთაც აბრალებენ მაღაზიის გატეხის განზრახვას. დაჭერილებს დანა და რკინის ლომი აღმოაჩნდა, პოლიცია დაჭერილებს ადმინისტიულათ უპირებს დასჯა.

— 15 მაისს, თბილისის მც... რები ტიგრ. გიორგ. ყალამქაროვმა განაცხადა პოლიციაში, რომ მას თავს დაეხსნენ სამი ჩოხაში გამოწყობილი კაცი, რომელთაგან ორი ხანჯლით და ერთიც რევოლვერით იყო შეიარაღებული. თავდამსხმელებმა წაიღეს „სმიტ ვისსონის“ სისტემის რევოლვერი, 50 ცალი პატრონა თავის საპატრონებით და მიიმალნენ.

— 1 განყოფილებაში პეტროვის ქუჩაზე 15 მაისს საღამოს 11 ს. მოჰკლეს ორი კაცი, რომლებსაც ჯაშუშობას აბრალებდენ.

— გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „სპრავედლივოსტი“ შეაჩერეს სანამ სამხედრო წესები მოქმედებენ. პოლიციამ წაიღო 4 ათასამდე ცალი ნახევრათ დაბეჭდილის ნომრები.

— როგორც შევიტყვეთ ამ დღეებში გამოვა ახალი რუსული გაზეთი „პერეკატი“.

— როგორც იქნა ქუთაისიდან გაბძანდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ბ. ალიხანოვი მის მაგიერ დაინიშნა ბ. იაზიკოვი.

— კვირას, 14 მაისს თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის თავის მოადგილის თავმჯდომარეობით შედგა თფილისის გუბერნიის მუშათა რწმუნებულების კრება. ამათ უნდა აერჩიათ თავიანთ შორის 1 ამომრჩეველი გუბერნიის საარჩევნო საკრებულოსთვის. კრებაზე 6 რწმუნებული გამოცხადდა, რომელთაც ერთხმათ აირჩიეს მუშა ვლადიმირ მაეევი, სოც.-დემოკრატი. (ლამპ.)

— ამ დღეებში კ. ი. ჯაფარიძემ აიღო ნებართვა რუსული ყოველდღიური გაზეთის გამოცემისა გაზეთს სახ... „ნაბატ“ ეწოდება.

— დ. გ. ნახუცრიშვილმა მიიღო ნებართვა ახალი ყოველდღიური გაზეთის გამოცემისა სახელათ „გლეხი“.

— თბილისში დაარსდა ბიურო, უადგილოდ დარჩენილ ინტელიგენტისათვის, რათა მოსძებნონ და გაუნაწილონ მუშაობა უადგილოდ დარჩენილ ინტელიგენტს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშების სააგენტო).

პეტერბურგი. 11 საათზე მოგროვდენ სათათბიროს წევრები. კამათი იყო კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოექცეს სათათბირო მინისტერთა პროგრამას. ერთის საათის შემდეგ, მინისტრმა გახსნა კრება. 2 საათზე 17 წუთ. მინისტრთა კრების თავმჯდომარე აცხადებს სურვილს ლაპარაკისას. ტრიბუნაზე ადის ნ. ლ. გორემიკინი, რომელიც კითხულობს მინისტრთა საბჭოს მიერ შედგენილ პასუხს, სადაც ან წმიდა ...რი იყო ნათქვამი საბჭოს მიერ ...ოყენებული კითხვებზედ, ან თ... ისებურად მონათლული. ამას მო...ყვა ქილკინის წინადადება, მიიღონ შემდეგი ფორმულა: წაკითხულიდამ ვხედავთ რა, რომ მინისტრთა საბჭოს სრულებითაც არ სურს დაკმაყოფილება ხალხის მოთხოვნილებისა, მიწის უფლების და თავისუფლების მოლოდინისა, რაიც პირველადვე იყო წამოყენებული სათათბიროსაგან სეფე სიტყვის საპასუხოთ რომელთა შეუსრულებლად, საფიქრიც არ არის ქვეყნის დამშვიდება, სათათბირო ნათლად ხედავს, რომ მთავრობას თავის უარით აშკარად არ სურს დააკმაყოფილოს ხალხის სამართლიანი მოთხოვნილებანი, არ სურს იხსნას ახალ ტანჯვისაგან ისედაც ტანჯული სიღარიბით ხალხი, ამიტომ იგი აცხადებს რომ მინისტრთა საბჭო, როგორც მავნე, დათხოვნილ უნდა იქმნას ფორმულა მიღებულ იქმნა.

ანიკინი. თავის სიტყვაში. ნათლად ხატავს გლეხთა მწარე ხვედრს, მათ დღევანდელ მდგომარეობას და მთავრობის „მამა-შვილურ ალერს მხთდამი, „მშვენიერს თბილ კუთხეს აძლევს ცივ—ნოტიო ციხეებში, და საუკუნო ბინათ უთმობს ერთს საჟენს მიწას“.

მთავრობის წარმომადგენელნი მუდამ აფრთხილებენ გლეხებს; თუ კიდევ მემამულეთა ადგილებში გაჩნდება ცეცხლი—ცეცხლივე იმსხვერპლებს თქვენს სოფლებსაო. ასეთია დაცვა საკუთრებისა, ძალიან მიღებული ხმარებაში გენერალ ალიხანოვის მიერ. ჩვენ წინაამდეგნი ვართ საკუთრების ასეთ დაცვისა. (ტაშის კვრა). შემდეგ ორატორი ახასიათებს საგლეხო ბანკის მოქმედებას. „ჩვენ გვეძლევა თავისუფლება სიკვდილისა, მიტომ რომ თუ გლეხებს მიეცა უფლება მიწის გაყიდვისა, ისინიც გაჰყიდიან, ფულს შესჭამენ და დაიხოცებიან“.

რაც შეეხება გადასახლებას ორატორმა წარმოსთქვა: „ჩვენ წინადადებას გვაძლევენ გადავსახლდეთ, არ შეიძლება ახლა ჩვენ მივცეთ წინადადება ისინი მოგვშორდენ თავიდანაო“, მაგრამ გლეხებს მიწასთან თავისუფლებაც უნდათ. შემდეგ ორატორი დასძენს: ჩვენ გვსურს ქვეყნის ბედ-ბედის გამგეობა და მოვითხოვთ საკადრის სამინისტროსს. ერთი-ღა დაგვრჩენია ან ჩვენ ან ესენი (ტაშის კვრა.) ლედნიცკი ამბობს სხვათა შორის: „ჩვენ გვეგონა მოგვიწვიეს აქ საერთო ცეცხლის ჩასანელებლად, ქვეყნის აოხრებისაგან გადასარჩენად (აქ ტელეგრაფი შეწყვეტილია). მივმართავ უკანასკნელად მოწოდებით: გამოფხიზლდენ, გაახილონ თვალები, ვინც საბერველს უბერავენ გაღვივებულს ნახშირს. ჩვენ მოველით აქ „სტიქიის“ შესაჩერებლად, მაგრამ ვხედავთ რა წინააღმდეგობას, ვაცხადებთ, რომ სტიქია მეტის ძლიერებით ღელავს, და აღელვებული წ...ოცს ყველაფერს, რაც ძვირფასია კაცის გულისთვის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ მინისტრთა ადგილებზედ ისხდენ ისინი ვინც იქ ჩვენთან არიან (თანაგრძნობა).

ალადინი აცხადებს, რომ მინისტრები, რომელნიც უნდა იყვენ მათ ყურ-მოჭრილ ყმათ, მოსულან აქ მათ საკარნახოთ, მათ ჩვენ არ უნდა გვასწავლონ. რევოლიუციისთვის თავ-დადებულნი ვართ ჩვენ (მარჯვენა სკამზე ხმებია: „გეყოფათ! გაჩუმდით“—მარცხენანი სთხვენ გაგრძელებას).

ორატორი განაგრძობს: თუ ერთათ ერთი რევოლიუციის ცეცხლის შემატებელი ძალა—საბჭო აღარ იქნება, იფეთქებს ალი რევოლიუციისა და წალეკავს არა თუ ამ მინისტრებს არამედ ჩვენც. ადვილი მისახვედრია, თუ რა თვალით შევხედავთ მინისტრთა კრებას. ჩვენ მოვითხოვთ უპირველესად ყოვლისა მინისტრებას, რომლითაც დაემორჩილება ხალხის სურვილს, და არა მის გაკვეთილების მოსაცემათ. (თანაგრძ.) კოკოშკინმა წარმოსთქვა გძელი სიტყვა, სადაც ნათლად დახატა საჭიროება ყოველ საბჭოს მიერ აღზრულ კითხვის დეკლარაციისა.... მინისტრთა გაძარცვა აქედამ ერთად ერთი ხსნაა ტრაგიკულ მდგომარეობიდამ. (კრება შესვენების შემდეგ იხსნება 5 საათზედ).

პირველათ ლაპარაკობს გლეხი სოკოლოვსკი: დახატავს რა საგლეხო ბანკის მოქმედებას დასძენს, „სჯობია ულუკმაპუროდ დავიხოცნეთ, ვიდრე ვსარგებლობდეთ მით. სამშობლოს დასამშვიდებლად ერთათ ერთი საშუალება დარჩენიათ მინისტრებს: მათ უნდა დაივიწყონ თავიანთი უფლება და დაუბრუნონ გლეხებს მიწა და თავისუფლება“.

შჩეპკინი თავის სიტყვაში ასურათებს მინისტრთა უვარგისობას. ხალხის წინააღმდეგნი უნდა მოშორდნენ აქედამ“, ათავებს ორატორი.

ვერაფერი უსაყვედურა მინისტრებს დეკლარაციაშიაში სამოქალაქო უფლებობის არ შეტანის გამო. ორატორი მიუბრუნდება პირდაპირ მინისტრებს და ჰკითხავს; რა იქნა პასუხი? არ იყო და არც არის პასუხი ამ ანთებულ კითხვაზე? რად გვესროლეს ესეთი ცარიელი სიჩუმე? ჩვენ სამარცხვინო ბოძზე უნდა მივაკრათ სილაჩრე მინისტრებისა.

ლაპარაკობს რამდენიმე ორატორი უკანასკნელათ ათავებს თავის სიტყვას:—ჩვენრვის საჭიროა ახალი მინისტრები, ხალხი ახალ იდეისა. ამ მინისტრებმა დაუყოვნებლივ უნდა დასტოვონ, დაუთმონ ადგილი პირებს, რომელთაც ექმნებათ საყოველთაო ნდობა.

სულ ბოლოს ლაპარაკობს გლეხი რომელიც ადარებს რუსეთის გლეხობას დროებით დატყვევებულ სამსონს; მაგრამ შეხედეთ გმირს თმები გაზრდია, დაამგრევს შენობას და დაღუპავს ფილისტიმელთა.

შიში თქვენ ფილისტიმელნო! (თანაგრძნობა)

რედაქტორ-გამომცემელი
ვ. ი. შალიკაშვილი.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.